ასპინძის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 9 თვის ანგარიში

საფინანსო - საბიუჯეტო სამსახური

ასპინძის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის 9 თვის შემოსავლების გეგმის მოცულობა განისაზღვრა 9 980,8 ათ. ლარი საანგარიშო პერიოდში მობილიზებული იქნა 7 195,5 ათ. ლარი, ანუ გეგმის 72,1 %.

შემოსავლები მოიცავს გადასახდელებს, გრანტებს, სხვა შემოსავლებს.

გადასახადები: ასპინძის მუნიციპალიტეტის 2022 წლის 9 თვის ბიუჯეტის შემოსავლების შედეგების მიხედვით, საგადასახადო შემოსავლების ფაქტიურ შესრულებაზე მოდის 4 589,8 ათ. ლარი, რაც შესაბამისი 9 თვის გეგმიური მაჩვენებლის 4 204,0 ათ. ლარის 109,1%-ია. თავის მხრივ, მთლიან შემოსავლებში საგადასახადო შემოსავლების წილი შეადგენს 63,8%-ს.

საგადასახადო შემოსავლების ცალკეული სახეების მიხედვით შესრულების მდგომარეობა შემდეგია:

ქონების გადასახადის 9 თვის გეგმა შეადგენდა 3 139,0 ათ. ლარს, ფაქტიური შესრულება შეადგენს 3 564,3 ათ.ლარს 9 თვის გეგმა შესრულდა 113,5%-ით. კერძოდ,

- საქართველოს საწარმოთა ქონების (გარდა მიწისა) გადასახადის სახეში ბიუჯეტის შემოსავლები შესრულებულია 115,3%-ით, ბიუჯეტის 9 თვის გეგმით გათვალისწინებული 3 111,1 ათ.ლარის ნაცვლად შემოსულია 3 586,5 ათ. ლარი.

- სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე გადასახადი ბიუჯეტით გათვალისწინებული 22,6 ათ.ლარი. 9 თვის ფაქტიური გადასახადი გვიზის (მინუსში) -23,1 ათ. ლარი.

- არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე გადასახადის სახეში ბიუჯეტით გათვალისწინებული 5,3 ათ. ლარი, ამ პერიოდისათვის შემოსულია 723,1 ათ. ლარია.

- დამატებული ღირებულების გადასახადის სახეში შესრულებულია 96,3%-ით,9 თვის გეგმით გათვალისწინებული 1 065,0 ათ.ლარის ნაცვლად შემოსულია 1 025,5 ათ. ლარი.

გრანტები: 2022 წლის 9 თვის განმავლობაში ფინანსური დახმარების სახით მიღებული იქნა 1 949,0 ათ. ლარი გეგმიური მაჩვენებელი შეადგენს 5 304,0 ათ,ლარს, შესრულებულია 36,7%-ით.

მიღებული ფინანსური დახმარებიდან კაპიტალური ტრანსფერი შეადგენს 1 773,9 ათ. ლარს, მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად 175,1 ათ. ლარს.

სხვა შემოსავლები: სხვა შემოსავლების 2022 წლის 9 თვის გეგმა შეადგენს 472,8 ათ. ლარით განისაზღვრა, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 656,6 ათ. ლარი, ანუ გეგმის 138,9 %-ი.
საანგარიშო პერიოდში სხვა შემოსავლების მდგომარეობა ცალკეული სახეების მიხედვით შემდეგია:

- პროცენტიდან მობილიზებულია 99,3 ათ. ლარი, რაც გეგმის 60,0 ათ. ლარის 165,5%-ს შეადგენს.

რენტის სახით მიღებულია 241,4 ათ. ლარი, რაც გეგმის 300,0 ათ. ლარის 80,5 %-ია. აქედან
-ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებელზე მოდის 238,0 ათასი ლარი, მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან შემოსავალზე - 3,3 ათასი ლარი.

- საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან მობილიზებულია 33,3 ათ. ლარი, აქედან,

- ადმინისტრაციული მოსაკრებლებისა და გადასახდელების სახით 33,1 ათ.ლარი. მათშორის:

- სანებართვო მოსაკრებელი 20,3 ათ. ლარი.
- ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის 12,8 ათ. ლარი.

არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება 0,2 ათ. ლარი.

- ჯარიმები, სანქციებიდა საურავების სახით მობილიზებულია 167,5 ათასი ლარი, რაც 9 თვის გეგმის 90,0 ათ.ლარის 186,1%-ია.

• ტრანსფერები რომლებიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული შემოსულია 115,0 ათ. ლარი.
2022 წლის წლის დასაწყისისათვის გარდამავალი საბრუნავი სახსრების ნაშთი შეადგენდა 1981,9 ათ. ლარს.
ასპინძის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 9 თვის მთლიანი ხარჯების გეგმა შეადგენს 12 772,9 ათ. ლარს, გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 7 048,2 ათ, ლარი, გეგმის 55,2 %-ს;
მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯებმა 2022 წლის 9 თვის ბიუჯეტით დაგეგმილმა ასიგნებებმა შეადგინა 2 256,0 ათ.ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა კი 1 962,8 ათ. ლარი, ანუ გეგმის 87,0%. ამ დარგში გაერთიანებულია ადგილობრივი თვითმმართველობის საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფის ხარჯები, ქვეყნის თავდაცვის უნარიანობის ამაღლების ხელშეწყობის ხარჯი, საერთო დანიშნულების ხარჯები.
ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობის სფეროზე საანგარიშო პერიოდის განმავლობაში 9 თვის ბიუჯეტის გეგმით გათვალისწინებული იყო 101,1 ათ. ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 86,5 ათ. ლარი, ანუ გეგმის 85,6%-ი.
ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია 9 თვის მდგომარეობით დაგეგმილი იყო 6 459,2 ათ.ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა კი 2 197,6 ათ.ლარი შეადგინა, ანუ გეგმის 34,0%. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს 50,6%-ს. აღნიშნული სფერო მოიცავს:
- საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაცია 9 თვის მდგომარეობით დაგეგმილი იყო 4 645,6 ათ. ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 1 088,5 ათ. ლარი, ანუ გეგმის 23,4 %-ი.
• კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაციაზე გამოყოფილი სახსრების 9 თვის გეგმა, რომელშიც შედის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის, ბინათმშენებლობის, წყლის სისტემების რეაბილიტაციის, გარე განათების ქსელის განვითარება და მოვლა პატრონობის ხარჯები, შეადგენდა 1 228,7 ათ.ლარს, ფაქტიურმა ხარჯებმა 844,8 ათ.ლარი შეადგინა, რაც გეგმის 145,4%-ია. მ/შ.
- წყლის სისტემების რეაბილიტაცია ექსპლოატაცია - გეგმა 628,3 ათ.ლარი, ფაქტიური- 389,4 ათ. ლარი;
- გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია-გეგმა 284,3 ათ.ლარი, ფაქტიური- 254,9 ათ. ლარი;

- სარწყავი არხების მოწყობა-რეაბილიტაცია- გეგმა 200,9 ათ.ლარი, ფაქტიური- 175,2 ათ. ლარი;
- ბინათმშენებლობა- გეგმა 14,9 ათ.ლარი, ფაქტიური- 10,8 ათ. ლარი;
- მდინარის ნაპირსამაგრი სამუშაოები-გეგმა 7,4 ათ.ლარი, ფაქტიური- 2,0 ათ. ლარი;
• საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის გეგმა შეადგენს 93,0 ათ. ლარს ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა-12,5 ათ. ლარი;

• სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების გეგმა შეადგენს 584,9 ათ. ლარს, ხოლო ხარჯმა შეადგინა-264,3 ათ. ლარი;

დასუთავების ღონისძიებებზე 9 თვეში გათვალისწინებული იყო 286,2 ათ, ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა 277,1 ათ. ლარი შეადგინა, რაც გეგმის 96,8 %-ია. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს 2,2%-ს. აღნიშნული სფერო მოიცავს მუნიციპალიტეტის დასუფთავებასა და ნარჩენების გატანის ღონისძიებებს.

განათლების სფეროზე გათვალისწინებული იყო 1 614,5 ათ.ლარი, საკასო შესრულება შეადგენს 920,7 ათ.ლარს, ანუ 9 თვის გეგმის 57,0%-ს. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს 12,6%-ს. ამ დარგში გაერთიანებულია სკოლამდელი აღზრდის, ასევე საბავშვო ბაღების სარეაბილიტაციო ღონისძიებების ხარჯები და ზოგადი საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურისა და მოსწავლეთა ტრანსპორტირების ხარჯი.

კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებების სფეროსთვის გამოყოფილი სახსრების 9 თვის გეგმა შეადგენდა 1 777,7 ათ. ლარს, ფაქტიურმა ხარჯებმა 1 374,2 ათ.ლარი შეადგინა, რაც გეგმის 77,3%-ია. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს 13,9%-ს. ამ სფეროში გაერთიანებულია სპორტული ღონისძიებების ხელშეწყობა, სპორტული გუნდების მხარდაჭერის, ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი კულტურის ორგანიზაციების ხელშეწყობა, საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობა, ინტელექტუალური და შემეცნებითი პროექტების მხარდაჭერის ღონისძიებები, რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა.

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის დაფინანსების მიზნით 9 თვეში განსაზღვრული იყო 380,2 ათ.ლარი, გაწეული საკასო ხარჯი შეადგენს 315,8 ათ.ლარს, რაც დაგეგმილის 83,1%-ია. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს 3,0 %-ს. რომელშიც შედის:

ა(ა)იპ - ასპინძის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ხარჯი 77,2 ათ. ლარს;

• სოციალურ პროგრამებზე დაგეგმილი იყო 292,8 ათ.ლარი, ფაქტიურად გახარჯული იქნა 238,7 ათ.ლარი, რაც გეგმის 81,4%-ია. მასში შედის:

- უფასო სასადილოს დაფინანსების ხარჯი 26,1 ათ. ლარი,
- ასპინძის მუნიციპალიტეტის მცხოვრები სოციალურად დაუცველი, გადახდის უუნარო მოსახლეობის სამედიცინო უზრუნველყოფის ხარჯები, ოპერაციების თანადაფინანსების ხარჯი 67,6 ათ. ლარი;
- ასპინძის მუნიციპალიტეტში ახალდაბადებულ ბავშვთა დახმარების ხარჯი 14,5 ათ. ლარი;
- სოციალური დახმარებების ხარჯები 111,8 ათ. ლარი;
- შეზღუდული შესაძლებლობების პირთა უფლებების დაცვაის ხარჯები 18,8 ათ. ლარი;

ასპინძის მუნიციპალიტეტის 2022 წლის 9 თვის ბიუჯეტის გადასახდელებს ეკონომიკურ ჭრილში აქვს შემდეგი სახე: შრომის ანაზღაურება, საქონელი და მომსახურება, პროცენტი, სუფსიდიები, გრანტები, სოციალური უზრუნველყოფა, სხვახარჯები, არაფინანსური აქტივები, ვალდებულებების კლება.

შრომის ანაზღაურებაზე გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 1 777,8 ათ.ლარი, მისი ხვედრითი წილი მთლიან ასიგნებებში არის 25,2%. საქონელზე და მომსახურებაზე გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 884,7 ათ.ლარი, მისი წილი მთლიან ასიგნებებში 12,5%-ია. პროცენტი 12,4 ათ, ლარი, მისი წილი მთლიან ასიგნებებში შეადგენს 0,2%-ს. სუბსიდიის სახით გაწეული ხარჯი შეადგენს 1 473,0 ათ.ლარს, მისი ხვედრითი წილი მთლიან მოცულობაში არის 20,9%. გრანტის სახეში გახარჯულია -15,0 ათ, ლარი, მ თლიანი ხარჯების 0,2%. სოციალურ უზრუნველყოფაზე გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 243,4 ათ. ლარი, მთლიანი მოცულობის 3,5%. სხვა ხარჯებზე გაიხარჯა 197,8 ათ.ლარი, რაც მთლიანი ასიგნებების 4,8%-ია. არაფინანსური აქტივების ზრდამ შეადგინა 2 418,8 ათ.ლარი, რაც მთლიანი ხარჯების 34,3%-ია. ვალდებულების კლების სახეში გახარჯულია 24,7 ათ. ლარი, მთლიანი ხარჯების 0,3%.

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურში,როგორც მოგეხსენებათ მთავარი ბუღალტერი თამილა ცინაძე და II კატეგორიის სპეციალისტი ლელა მელიქიძე იმყოფებიან დეკრეტულ შვებულებაში აქედან გამომდინარე აუცილებელი გახდა დამატებით ხელშეკრულებით აგვეყვანა სპეციალისტი რომელიც უზრუნველყოფდა სახაზინო საქმიანობასთან დაკავშირებულ ოპერაციების მოწესრიგებას. აყვანილი იქნა ამისათვის ერთი თანამშრომელი რომელიც ფაქტიურად ბრწყინვალედ ასრულებს მისთვის დაკისრებულ მოვალეობას. ამასთან ერთად შეიცვალა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებიდან გამომდინარე ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდოლოგია და წესი რაზეც საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურმა შეიმუშავა და დამტკიცებული იქნა მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ შესაბამისი ფორმებით და ინსტრუქციებით. ამასთან ერთად გაზრდილია ბიუჯეტის შემოსავლები რაზეც მიზანშეწონილად მიგვაჩნია ერთი ერთეულით საშტატო ერთეულის დამატება შემოსავლების ნაწილში ყოველდღიური შემოსავლების აღრიცხვის და ბიუჯეტში შესაბამისი ცვლილებების შეტანისათვის.

სულ საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურში 9 თვის განმავლობაში შემოსულია 1996 კორესპონდენცია. აქედან 686 ბრძანება, შიდა წერილი 575,გასული წერილი და პასუხი 211,პირადი განცხადება და დოკუმენტი82, სხვადასხვა 442.

სახელმწიფო შესყიდვების სამსახური

2022 წლის 1 იანვრიდან 2022 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტით და სახელმწიფო შესყიდვების გეგმით გათვალისწინებით განხორციელდა ელექტრონული სახელმწიფო შესყიდვები:

2022 წლის 1 იანვრიდან 2022 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით ელექტრონული ტენდერები სულ გამოცხადებული იყო 5 440 995 ლარზე, გაფორმდა ხელშეკრულებები 5 224 766 მათ შორის სოფლის მხარდაჭერის პროგრამით -197 909 ლარზე. ეკონომიამ შეადგინა --216 229 ლარი.

სულ 2022 წლის 1 იანვრიდან 2022 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით მიმწოდებლებთან გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ 109 ხელშეკრულება. მათ შორის: ელექტრონული ტენდერებით -38 ხელშეკრულება, გამარტივებულ შესყიდვაზე -- 54 ხელშეკრულება, კონსოლიდირებულ შესყიდვაზე 17 ხელშეკრულება.

ზემოთ აღნიშნული შესყიდვების სახელშეკრულებო ღირებულებამ მთლიანად შეადგინა 5 964 480 ლარი (აქედან ინფრასტრუქტურის ობიექტების რეაბილიტაცია-მშენებლობაზე - 5 436 845).

მათ შორის:

გამარტივებულ შესყიდვით 499 497 ლარი. აქედან: სოფლის მხარდამჭერი პროგრამით -- 382 535 ლარი; მოსწავლეთა ტრანსპორტირებაზე 74 112; სხვა დანარჩენზე 42 850 ლარი.

კონსოლიდირებული შესყიდვით 195 217 ლარი.

ელექტრონული ტენდერებით 5 269 766 ლარი (შენიშვნა: 2022 წელში გამოცხადებულ ტენდერის სახელშეკრულებო ღირებულებას დაემატა 2021 წელში გამოცხადებული და 2022 წელში გაფორმებული ხელშეკრულების ღირებულება). აქედან:

ა) ინფრასტრუქტურის ობიექტების რეაბილიტაცია-მშენებლობაზე გაფორმდა ხელშეკრულებები 5 009 310 ლარზე, აქედან: სოფლის მხარდამჭერი პროგრამით -- 197909

ბ) საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენაზე და საზედამხედველო მომსახურების შესყიდვაზე გაფორმდა ხელშეკრულებები 74 800 ლარზე;

გ) დაბა ასპინძაში მზრუნველობა მოკლებულთა ერთჯერადი უფასო კვების უზრუნველყოფის მომსახურეობაზე 45 000 ლარი;

დ) სხვა დანარჩენ შესყიდვაზე (საქონელი და მომსახურეობა) გაფორმდა ხელშეკრულებები 140 656 ლარზე.

N	შესყიდვის დასახელება	გამოცხადებული ტენდერი წლის დასაწყისიდან სულ	მათ შორის			
			ტენდერი არ შედგა	დასრულდა უარყოფით შედეგით	ხელშეკრულება დადებულია	მიმდინარეობს ხელშეკრულების მომზადება
1	ელექტრონული ტენდერი SPA	16	3	2	11	0
2	ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე NAT	38	5	5	26	2
	სულ	54	8	7	37	2

სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის სამსახური

მიმდინარე წლის დასაწყისში შედგა და დამტკიცდა 2022 წლის ნომენკლატურა, რომლის მიხედვით გაიხსნა 33 საქმე, 11 წიგნი და 12 ჟურნალი.

განხორციელდა რეზერვისტთა ანბანური და სააღრიცხვო ბარათების შედარება.

თებერვალ-მარტის თვეებში დაგეგმილი გვქონდა და განვახორციელეთ შესაბამისი უწყებებიდან გამოთხოვილი და შეჯერებული, დაზუსტებული სიების საფუძველზე, მუნიციპალიტეტის მერის მიერ დამტკიცებული გეგმა-გრაფიკისა და ბრძანებების საფუძველზე, მოქალაქეთა პირველადი სამხედრო აღრიცხვაზე აყვანა და ინფორმაციის შეტანა 2005 წელს დაბადებულ წვევამდელთა ანბანურ წიგნში. 2022 წლის სექტემბრის თვეში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სასწავლო დაწესებულებების დირექტორებისგან გამოვითხოვეთ ინფორმაცია 2006 წელს დაბადებულ წვევამდელთა შესახებ, ვინაიდან განხორციელდეს 2023 წელს მათი პირველადი სამხედრო აღრიცხვაზე აყვანა.

მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის საგაზაფხულო და საშემოდგომო გაწვევის ბრძანების და გეგმა გრაფიკის საფუძველზე განვახორციელეთ გაწვევისათვის საჭირო შესაბამისი ღონისძიებები: დაუწყება, გაწვევისთვის შესაბამისი დოკუმენტების მომზადება და შემკრებ გამანაწილებელ ცენტრში არსებულ მუდმივმოქმედ სამხედრო-სამედიცინი საექსპერტო სამედიცინო კომისიაზე წარდგენა.

საგაზაფხულო გაწვევის გეგმა - გრაფიკით გასაწვევი იყო 15 წვევამდელი, გაწვეულ იქნა 15. საშემოდგომო გაწვევის გეგმა - გრაფიკით გასაწვევია 10 წვევამდელი, ამჟამად გაწვეულია 7. შესაბამისი უწყების მოთხოვნის საფუძველზე 1 (ერთ) წვევამდელს შევუქმენით და განსახილველად გავაგზავნეთ საჭირო დოკუმენტაცია, არასამხედრო ალტერნატიული შრომითი სამსახურის გავლის მიზნით.

კომისიის მუშაობის შედეგი აისახა 15 ოქმში, რომლის საფუძველზეც წვევამდელებს მიეცათ სამხედრო სამსახურში გაწვევისგან გათავისუფლება და გაწვევისგან გადავადება.

საგაზაფხულო გაწვევის დამთავრების შემდეგ, ინფრასტრუქტურის სამინისტროს წარვუდგინეთ ანგარიში.

სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის სამსახური პერიოდულად ანხორციელებს შემდეგ სამუშაოებს:

- წვევამდელებზე, მკაცრი აღრიცხვის უწყისებით, სამხედრო სააღრიცხვო მოწმობების გაცემა.
- სავალდებულო სამხედრო სამსახურიდან დათხოვნილთა და ზღვრული ასაკის შესრულების გამო რეზერვში ჩარიცხულ წვევამდელთა აღრიცხვაზე აყვანა და მერის ბრძანების საფუძველზე სამობილიზაციო რეზერვში ჩარიცხვა.
- საკონტრაქტო სამსახურში გასაწვევად შერჩეულ რეზერვისტების და წვევამდელების პირადი საქმეების შექმნა და შესაბამის უწყებაში გადაგზავნა.
- რეზერვისტთა დროებითი მოწმობების გაცემა.
- მოქალაქეთა განცხადებების საფუძველზე შესაბამისი ინფორმაციისა და დოკუმენტების გაცემა.
- ყოველთვიურად აღრიცხვაზე აყვანილი, აღრიცხვიდან მოხსნილი და სპეციალურ აღრიცხვაზე გადაყვანილ რეზერვისტთა შესახებ, შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოება.
- ზღვრულ ასაკს მიღწეული რეზერვისტთა მოხსნა და პირადი საქმეების არქივში გადატანა.
- საკონტრაქტო სამსახურიდან დათხოვნილ რეზერვისტთა პირადი საქმეების აღრიცხვა და მათი საერთო სამხედრო აღრიცხვაზე აყვანა.

ამჟამად მიმდინარეობს საშემოდგომო გაწვევა შესაბამისი ღონისძიებებით.

ზედამხედველობის სამსახური

სულ ზედამხედველობის სამსახურში შევიდა 611 წერილი და განცხადება, აქედან დამუშავებული და ჩამოწერილია 600 დოკუმენტი.

2022 წელს მომზადდა შუალედური და დასრულებული 50 აქტი. აღნიშნული დოკუმენტაციის მომზადებას წინ უძღვოდა ადგილზე მონიტორინგი, რომელიც მომზადდა ხელშეკრულების შესაბამისად.

მიმდინარე წელს მოხდა 42 საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტის მიღება-ჩაბარება, აქედან 23 სოფელში განხორციელდა სოფლის პროგრამის ფარგლებში, მოსახლეობის აზრის გათვალისწინებით.

2022 წელს შედგა ასპინძის მუნიციპალიტეტის სკოლების მოსწავლეების სატრანსპორტო მომსახურების 12 აქტი.

2022 წელს შედგა ადგილზე დათვალიერების დროს გამოვლენილი ხარვეზების შესახებ 6 აქტი, შედგა 4 შემოწმების აქტი, 2 მითითება სამართალდარღვევის შესახებ, 2 დათვალიერების აქტი, დაჯარიმდა 3 ფიზიკური პირი, თითოეული 1000 ლარის ოდენობით.

2022 წელს მშენებლ კომპანია შპს „გია კონსტრაქშენ"-ს მუნიციპალიტეტის ინტერესებიდან გამომდინარე, ხელშეკრულების ვადა გაუგრძელდა, თუმცა არ შეასრულა ზემოთ ხსენებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები, დაეკისრა ხელშეკრულების შესაბამისი ყველა საჯარიმო სანქცია და შეუწყდა ხელშეკრულება, მშენებლი შეყვანილი იქნა შავ სიაში.

2022 წელს სულ ზედამხედველობის სამსახურმა მოამზადა მშენებლობა დამთავრებული ობიექტი ექსპლუატაციაში მიღების, ვარგისად აღიარების 4 ოქმი.

ზედამხედველობის სამსახურის მიერ ყოველდღიურად ხდება მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების მონიტორინგი, ადგილზე მოწმდება მშენებლობის ხარისხი და გეგმა-გრაფიკის მიმდინარეობა, ასევე სისტემატურად ხდება უკანონო მშენებლობების გამოვლენა და მასზე კანონიერი რეაგირება.

ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის სამსახური

ასპინძის მუნიციპალიტეტში 2022 წელს 01 იანვრიდან სულ განხორციელდა და მიმდინარეობს **6 206 913** ლარის ღირებულების **42** ინფრასრუქტურული პროექტი, აქედან:

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი

დაბა ასპინძაში მეფე თამარის,ერეკლე II, რუსთაველის, ტაბიძის ქუჩების და მიმდებარე ტერიტორიის (დარჩენილი სამუშაოების) რეაბილიტაცია; - 927 998 ლარი;

სოფელ ძველში საბავშვო ბაღის მშენებლობა - 335 078 ლარი;

სოფელ დამალაში შიდა გზის რეაბილიტაცია - 267 235 ლარი;

სოფელ ხერთვისის კლუბის რეაბილიტაცია - 195 546 ლარი;

სოფელ რუსთავის გზის რეაბილიტაცია - 304 897 ლარი;

დაბა ასპინძაში ჩიხების რეაბილიტაცია - 309 514 ლარი;

დაბა ასპინძაში ჩიხების რეაბილიტაცია - 62 690 ლარი;

სოფელ თმოგვში საბავშვო ბაღის მშენებლობა - 341 878 ლარი;

დაბა ასპინძაში ჩიხების რეაბილიტაცია - 439 000 ლარი;

სოფელ იდუმალის გზის რეაბილიტაცია - 720 000;

დაბა ასპინძაში სანიაღვრე არხების მოწყობა (ფალიაშვილისა და სარგის თმოგველის ქუჩები) – 165 888 ლარი;

სოფელ ივერიაში სპორტული მოედნის მოწყობა - 149 899 ლარი;

სოფელ ივერიაში შიდა გზის რეაბილიტაცია (ნაწილი 1) - 812 038 ლარი.

მთის ფონდი

ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ დამალას წყალსადენის ქსელის რეაბილიტაცია - 263 158 ლარი.

ადგილობრივი ბიუჯეტით დაფინანსებული პროექტები 2022

დაბა ასპინძაში 9 აპრილისა და გურამიშვილის ქუჩებზე გზის დამცავი საყრდენი კედლების მოწყობა - 10 538 ლარი;

სხვადასხვა საამშენებლო მასალების შესყიდვა - 6 570 ლარი;

ძველის მოედანი - 34 000 ლარი;
იდუმალის ხიდი - 33 000 ლარი;
საროს, თმოგვისა და დამალის გარე განათების მოწყობა - 79 664 ლარი;
ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ რუსთავში ,,დასასვენებელი სკვერისა და ფანჩატურის მოწყობა" და ,,მირაშხანში საბავშო სკვერის მოწყობა" - 51 246 ლარი;
,,ახალშენის ხიდის" რეაბილიტაცია (II ეტაპი) – 24 331 ლარი;
ძველის საბავშვო ბაღის ეზოს შემოღობვა - 46 101 ლარი.

სკოლები 2022 (დელეგირებული)

სოფელ ნაქალაქევის (თმოგვის) სკოლის ცენტრალური გათბობის სისტემის მოწყობა - 105 000 ლარი.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განხორციელდა 21 პროექტი 23 დან. (ორი მიმდინარე პროექტია

რუსთავი - დასასვენებელი სკვერის მოწყობა 31 137,75 ლარი;
იდუმალა - ახალშენის ხიდის რეაბილიტაცია 33 000 ლარი;
ოშორა - მილხიდის რეაბილიტაცია და სასაფლაოს შემოღობვა 29 781,84 ლარი;
დამალა - გარე განათების მოწყობა 39 916,69 ლარი;
ივერია - სოფლის შიდა საუბნო გზების (საფეხმავლო ბილიკების) რეაბილიტაცია 23 198 ლარი;
ოთა - შიდა გზების საყრდენი კედლის მოწყობა 22 258 ლარი;
ნიჯგორი - სასმელი წყლის სათავე ნაგებობის რეაბილიტაცია და გარე განათების მოწყობა 23 174,58 ლარი;
სარო - გარე განათების მოწყობა 15 156,03 ლარი;
ხიზაბავრა - სარწყავი არხების რეაბილიტაცია 24 036,62 ლარი;
თოკი - გზისპირა მოსაცდელის მოწყობა და სასაფლაოს ღობის რეაბილიტაცია 17 420,7 ლარი;
ვარგავი - სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია 18 364 ლარი;
ჭობარეთი - სანიაღვრე არხების მოწყობა 23 622,34 ლარი;
ძველი - მინი სტადიონის ხელოვნური საფარის მოწყობა და ინვენტარის შეძენა 34 000 ლარი;
ორგორა - სანიაღვრე და სარწყავი არხის მოწყობა 19 991,61 ლარი;
საყუდაბელი - სასმელი წყლის შიდა ქსელის ნაწილობრივი რეაბილიტაცია და შიდა გზების მოხრეშვა 11 520,41 ლარი;
აწყვიტა - მთის გზის რეაბილიტაცია 31 205,76 ლარი;
ხერთვისი - სასაფლაოს შემოღობვა 15 069,5 ლარი;
ტოლოში - სასმელი და სარწყავი წყლის სისტემების მოწყობა 31 863,59 ლარი;
გელსუნდა - სოფელთან დამაკავშირებელი ხიდთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია 19 503,32 ლარი;
ნაქალაქევი - ჯოლდის ხიდის რეაბილიტაცია 31 965,41 ლარი;
ფია - ზედა თმოგვის გზის რეაბილიტაცია 19 978 ლარი;
თმოგვი - გარე განათბის და სოფლის წყაროს მოწყობა 24 591,21 ლარი;
მირაშხანი - საბავშვო სკვერის მოწყობა 23 079,04 ლარი.

2022 წელს გაიცა 13 მშენებლობის ნებართვა და 23 ხაზოვანი ნაგებობების და მშენებლობის მარტივი შეტყობინება.

2022 წელს ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის სამსახურში სულ შემოსულია 410 წერილი და განცხადება. აქედან დამუშავებული და ჩამოწერილია 402 დოკუმენტი. ზემოთ აღნიშნულ შემოსულ დოკუმენტებში იყო დახმარების შესახებ 39 მოქალაქის განცხადება, რომლებიც ითხოვდნენ სტიქიის შედეგად და სიძველისგან ავარიულ-დაზიანებული საცხოვრებელ სახლებს შეკეთებას. მოსახლეობას საცხოვრებელი სახლების აღდგენისთვის, დახმარება გაეწია 21 მოქალაქეს სხვადასხვა სამშენებლო მასალებით.

ადმინისტრაციული სამსახური

ადმინისტრაციული სამსახურის მიერ დარეგისტრირებული მერიაში შემოსული წერილების რაოდენობა პროგრამა MSDA-ში შეადგენს 2 768, ხოლო გასული დოკუმენტებისა 2 608. mms-პროგრამაში კი დარეგისტრირებულია 1 103 განაცხადი.

ასპინძის მუნიციპალიტეტის 2022 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის მიზნობრივი „მოქალაქეთა სოციალური და ჯანდაცვის პროგრამის“ შესაბამისად შესრულებულ სამუშაოს, გახარჯული თანხა შეადგენს 221 398,89 ლარს 445 მოქალაქეზე: აქედან ერთჯერადი უფასო კვების სასადილო - 29 819 ლარი, 50 ბენეფიციარზე; ქირურგიული ოპერაციების თანადაფინანსებისათვის - 72 661 ლარი, 102 მოქალაქეზე; ახალდაბადებულ ბავშვიან ოჯახზე - 15 900 ლარი, 69 ახალშობილზე; სხვა სოციალურ ხარჯებში პროგრამის მიხედვით გახარჯულია 118 758 ლარი, 224 მოქალაქეზე.

იურიდიული სამსახური

იურიდიული სამსახურის ძირითად საქმიანობას წარმოადგენდა მუნიციპალიტეტის საქმიანობიდან გამომდინარე სამართლებრივად საკითხების მომზადება, შეფასება და მიწოდება უფლებამოსილი პირებისათვის. კერძოდ:

მერიის სხვა სამსახურების და საკრებულოს მიერ გადმოგზავნილი დოკუმენტების შესაბამისობის დადგენა მომქმედ კანონმდებლობასთან და მუნიციპალიტეტის ნორმატიულ აქტებთან;

შიდა დოკუმენტების (მათ შორის მოსახლეობის სოციალური დახმარების საქმეები) ვიზირება(კორექტირება); ა(ა)პი-ებისათვის კონსულტაციების გაწევა და მათი საშტატო ნუსხების და ფინანსური ხარჯთაღრიცხვების (მათი ცვლილებების) დამტკიცებისათვის ბრძანების პროექტების მომზადება; ა(ა)პი -ების წესდებების პროექტების სამართლებრივი შეფასება და მათი რეგისტრაციისათვის სამართლებრივი მიმართულების მიცემა და სხვა საკითხები;

სამსახური ასევე ახდენს მუნიციპალიტეტის კანონიერი ინტერესების დაცვას სასამართლოში და სამართლებრივ ურთიერთობებში სახელმწიფო ორგანოებთან, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, რისთვისაც მერიის სახელით ვამზადებთ სარჩელებს, შესაგებლებს, შუამდგომლობებს, დასკვნებს და ვასრულებთ ყველა კანონიერ მოქმედებას კონკრეტული საქმიდან გამომდინარე.

სამსახური მონაწილეობს კომისიებში, სამუშაო ჯგუფებში და ა. შ.(სატენდერო, მაღალმთიანი და სხვ.).

ზემოთ დასახელებული საქმიანობის პრაქტიკული გამოხატულებაა სამსახურის მიმართ ელექტრონული წარმოების წესით „ APPS.MSDA.GE “-ში, „MMS“პროგრამებში არსებული სტატისტიკა:

1. კანცელარიიდან მიღებული 338 დავალება.
2. „ APPS.MSDA.GE “-ში, „MMS“პროგრამებში ვიზირება განხორციელდა სულ 612 შემოსულ საქმეზე;
3. იურიდიული სამსახურის მონაწილეობდა ადმინისტრაციული და დისციპლინური კომისის მუშაობაში - 7 სხდომა; ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის კონტროლისა და შიდა აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარებული აუდიტორული შემოწმების მასალებზე რეაგირების მუდმივმოქმედი სამუშაო ჯგუფის მუშაობაში - 5 სხდომა; ასპინძის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ სოციალურად დაუცველ მოქალაქეთა ერთჯერადი კვების უფასო სასადილოში და ა(ა)იპ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანებაში კვების და საკვები პროდუქტების ინსპექტირების ჯგუფის მუშაობაში, სადაც ყოველთვიურად ხდება განხორციელებული შესყიდვების ინსპექტირება. ასევე მოვახდინეთ დამატებით 6 ბენეფიციარის ჩარიცხვა.
4. იურიდიული სამსახური აქტიურად მონაწილეობს პარლამენტის მიერ გასახილველი კანონ პროექტების და მათგან გამომდინარე სხვა კანონებში შესატანი ცვლილებების პროექტების განხილვაში,წინადადებების და მოსაზრების მიწოდების მიზნით. დღემდე 53-მდე ასეთი კანონ პროექტი იქნა წაკითხული და ზოგიერთის მიმართ გაკეთდა მოსაზრების და წინადადების მიწოდება. ასევე მოვახდინეთ საკრებულოში სხვადახვა დადგენილების და ცვლილების პროექტების გაგზავნა.
5. იურიდიული სამსახური კონკრეტულ საკითხებთან მიმართებაში ამზადებს სარჩელებს, შესაგებელს და მონაწილეობს საქმის განხილვებში. 2022 წელში 14 საქმის განხილვა მოხდა ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის მონაწილეობით აქედან ორი განხილვაშია, ერთი გასაჩივრებულია ზემდგომ ინსტაციაში, ერთი მორიგებით დამთავრდა, ერთ შემთხვევაში მერია იყო მესამე პირად წარმოდგენილი, ხოლო დანარჩენის მიმართ მიღებული იქნა დადებითი გადაწყვეტილება.

ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახური

1. ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურს 2022 წლის 01 იანვრიდან შესასრულებლად დაეწერა 1320 წერილი, რომელზეც გაცემულია შესაბამისი შინაარსის პასუხი.
2. სამსახურის მიერ სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში დარეგისტრირდა 2 სასმელი წყლის ობიექტი, 1 სასოფლო-სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების მიწის ნაკვეთი, ასპინძის მუნიციპალიტეტს დამატებით ქონებად გადმოეცა 3 ობიექტი.
3. განხორციელდა ცვლილების რეგისტრაცია - ასპინძის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 2 არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის დაყოფა 2 და 12 მიწის ნაკვეთად.
4. საქართველოს მთავრობის N 189 დადგენილების თანახმად მოხდა არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართის იზოლირებული 1 ბინის საკუთრებაში გადაცემა; შესაბამისად, გაიცა 1 ბინის საკუთრების უფლების მოწმობა.
5. მუნიციპალიტეტში შემოსულია საიჯარო ქირა 12 827.37 ლარი.
6. ასპინძის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება - 11 სოფლის ამბულატორია გადაეცა სახელმწიფოს უსასყიდლოდ საკუთრებაში.
7. სამსახურის მიერ სეზონურად განხორციელდა მთაში მომთაბარე მწყემსების მონიტორინგი. გამოვლინდა 3 დარღვევის ფაქტი და, შესაბამისად, დაიწერა 3 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი. სასამართლოს გადაწყვეტილებით დაკისრებულია ჯარიმა 1 000 ლარის ოდენობით, ჯამში 3 000 ლარი.
8. საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ფინანსისტთა ასოციაციის მიერ განხორციელდა საინვენტარიზაციო ელექტრონული პროგრამის შექმნა, რომელიც დამუშავების პროცესშია.
9. ასპინძის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლების მოთხოვნის საფუძველზე 27-ჯერ განხორციელდა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ბორბლებიანი ექსკავატორის გადაცემა სხვადასხვა სახის სამუშაოების შესასრულებლად.
10. 3 ობიექტზე მოხდა ელ. ენერგიის მრიცხველის მონტაჟი.

ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის კონტროლისა და შიდა აუდიტის სამსახური

ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის კონტროლისა და შიდა აუდიტის სამსახურის მიერ რისკის შეფასების საფუძველზე მოხდა 2022-2024წწ. სტრატეგიული გეგმის შემუშავება, ხოლო სტრატეგიული გეგმის საფუძველზეც 2022 წლის სამუშაო გეგმა. რომელიც მოიცავს 6 (ექვს) აუდიტის ობიექტს. წლიური გეგმის თანახმად, კონტრტოლისა და შიდა აუდიტის სამსახურის მიერ ამ დროისათვის ჩაატარებულია შესაბამისობის აუდიტი ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის 2 (ორი) სტრუქტურულ ერთეულში და ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი მერიის მიერ დაფუძნებულ 2 (ორი) არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირში. კერძოდ:

• ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის, ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის და არქიტექტურის სამსახური.

• ასპინძის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროგრამულ კოდი: 0201_ საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაცია, რომელიც მოიცავს შემდეგ აუდიტის ობიექტებს: ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურს, სახელმწიფო შესყიდვების სამსახურსა და საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს.

• ასპინძის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროგრამულ კოდი: 03 00_ დასუფთავების ღონისძიებები. განმახორციელებელი ა(ა)იპ ასპინძის კეთილმოწყობა.

• ასპინძის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროგრამულ კოდი: 02 02 04 _ სარწყავი არხების და სოფლების სასმელი წყლის სისტემის ექსპლუატაცია. განმახორციელებელი ა(ა)იპ ასპინძის მელიორაციის და სოფლების სასმელი წყლის ცენტრი.

ხოლო ამჟამად (ამა წლის 26 სექტემბრიდან 1 ნოემბრამდე) ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი მიმდინარეობს • ასპინძის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროგრამულ კოდი: 02 02 03_ გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია, განმახორციელებელი ა(ა)იპ ასპინძის გარეგანათება.

თითოეული აუდიტის ობიექტის შემოწმება მოხდა წლიური გეგმით გათვალისწინებულ ვადებში, აუდიტის ობიექტების მიმართ შედგენილ იქნა აუდიტორული ანგარიში. შესამოწმებელი საკითხების ფარგლებში გაიცა რეკომენდაციები. განხორციელდა მონიტორინგი გაცემულ შენიშვნებზე და

რეკომენდაციებზე, რათა სამსახურებმა მომავალში უშეცდომოდ შეასრულონ მათზე დაკისრებული, კანონით განსაზღვრული უფლება-მოვალეობები.

ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის კონტროლისა და შიდა აუდიტის სამსახურის 2022 წლის გეგმის თანახმად, მიმდინარე წლის 20 ივნისიდან 30 ივნისამდე განვახორციელეთ, ჩვენს მიერ 2021 წელს ჩატარებული აუდიტორული შემოწმებისას გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა შემდეგ აუდიტის ობიექტებში:

1. ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახური (საანგარიშო პერიოდი 2018-2020წწ);
2. ა(ა)იპ ასპინძის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მუნიციპალური ცენტრი (საანგარიშო პერიოდი 2017-2020 წწ);
3. ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური (საანგარიშო პერიოდი 2018 – 2020 წწ);
4. ა(ა)იპ ,,ასპინძის სახელოვნებო და სამუზეუმო დაწესებულებათა გაერთიანება - კულტურის ცენტრი“ (საანგარიშო პერიოდი 2018-2020 წწ);
5. ა(ა)იპ ,, ასპინძის სასპორტო გაერთიანება (საანგარიშო პერიოდი 2018 – 2020 წწ).

განხორციელებული მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა, რომ ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცვისა და გაწვევის სამსახურმა, ა(ა)იპ ,,ასპინძის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მუნიციპალური ცენტრმა“ სრულად გაითვალისწინეს გაცემული რეკომენდაციები და შეასრულეს 100%-ით. ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურმა, ა(ა)იპ ,,ასპინძის სასპორტო გაერთიანებამ, ა(ა)იპ ,,ასპინძის სახელოვნებო და სამუზეუმო დაწესებულებათა გაერთიანება - კულტურის ცენტრმა ნაწილობრივ, მაგრამ საკმაოდ ხარისხიანად და წილობრივად მეტად შეასრულა გაცემული რეკომენდაციები. რეკომენდაციების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირებისგან მივიღეთ გარანტია შეუსრულებელი რეკომენდაციების ნაწილის შესრულებაზე საქმიანობის წარმოების პროცესისას.

ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, ძეგლთა დაცვის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა და ტურიზმის განვითარების სამსახური

ასპინძის კულტურის, განათლების, ძეგლთა დაცვის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა და ტურიზმის განვითარების სამსახური ყოველწლიურად თავისი პროფილიდან გამომდინარე ახორციელებს კალენდარული გეგმით გათვალისწინებულ ღონისძიებებს.

2022 წელს სამსახურს კალენდარული გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებებისათვის წლის დასაწყისში ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი ჰქონდა 54 000 ლარი, მათ შორის 45 000 ლარი კულტურული, შემეცნებითი და ახალგაზრდული ღონისძიებებისათვის. სამსახურისათვის კალენდარული სამუშაო გეგმით გათვალისწინებული ღონისძებების ორგანიზაბისათვის განსაზღვრულ 45 000 ლარს დაემატა 62,900 ლარი და ჯამში შეადგინა 107,900 ლარი, კერძოდ: ცვლილება შეეხო საახალწლო ღონისძიების დაფინანსების მუხლს და განისაზღვრა 8000 ლარით, 35 000 ლარით გაიზარდა სახალხო დღესასწაული" შოთაობა-2022" -ის კულტურული ღონისძიების ორგანიზების და 8000 (რავ ათასი) ლარით კი წარჩინებული ახალგაზრდებისათვის სხვადასხვა სახის წამახალისებელი ფინანსური მხარდაჭერის ხარჯები, 4900 ლარით განისაზღვრა ახალგაზრდული ორგანიზაციების მხრიდან მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდებისათვის განსახორციელებელი პროექტების ფინანსური მხარდაჭერა , ხოლო 7 000 ლარით მესხური ფოლკლორი“-ს მეორე ტომის გამოსაცემი წიგნის ფინანსური მხარდაჭერა, ხოლო 9000 ლარი სპორტულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებების ორგანიზებაზე. სულ სამსახურის დაფინანსება შეადგინს 116 900 ლარს. როგორც უკვე აღვნიშნეთ კალენდარული გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებებიდან გაიმართა მხოლოდ შემდეგი აქტივობები, კერძოდ:

3 მარტს - დედის დღესთან დაკავშირებით ღონისძიება.

8 მარტს ქალთა დღესთან გაიმართა ამ დღებისადმი მიძღვნილი საზეიმო კონცერტი.

14 მარტი - ასპინძის კულტურის ცენტრის ჩატარდა ,,მუნიციპალური პირველობა ნარდში“.

21 მარტს დაუნის სინდრომის მქონე პირთა საერთაშორისო დღეს ასპინძის მუნიციპალიტეტი თანადგომის აქციით შეუერთდა.

9 აპრილს დაღუპულთა ხსოვნის დღეს- წმ. გიორგის სახელობის ასპინძის ხვილიშის ეკლესის ეზოში მდებარე 9 აპრილის მემორიალთან გაიმართა თემატური ღონისძიება,

16 აპრილს - გაიმართა მუნიციპალიტეტის ჩემპიონატი მინი-ფეხბურთში. 20 აპრილს- ასპინძაში 1770 წლის 20 აპრილს მომხდარი ასპინძის ბრძოლის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა.
30 აპრილი -გაიმართა მუნიციპალიტეტის ჩემპიონატი მძლეოსნობაში.
7-8 მაისი- ჩატარდა მუნიციპალიტეტის ჩემპიონატი კალათბურთში 3X3-ზე და მაგიდის ჩოგბურთში.
9 -12 მაისი - ასპინძის მუნიციპალიტეტში გაიმართა მუნიციპალური შესარჩევი თამაშები მინი -ფეხბურთში და მაგიდის ჩოგბურთში.
14 მაისი - ჩატარდა მუნიციპალიტეტის ჩემპიონატი ფრენბურთში.
26 მაისი - საქართველო დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტში გაიმართა საზეიმო კონცერტი და სხვადასხვა ღონისძიებები.
1 ივნისს - ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ასპინძის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებათა გაერთიანებაში შემავალ საბავშვო ბაღის ყველა სააღმზრდელო ჯგუფს მუნიციპალიტეტისაგან გადაეცემათ საჩუქარი.
26 ივნისიდან-10 ივლისის ჩათვლით ასპინძა მუნიციპალიტეტი შუერთდა 7x7 ფეხბურთის ასოციაციის მიერ ორგანიზებულ საფეხბურთო ტურნირის ,,მასტერ ლიგა 7x7''.
8 აგვისტოს, გაიმართა აგვისტოს ომის მე-14 წლისთავთან დაკავშირებით
12 აგვისტოს ტრადიციულად, სოფელ დამალაში, კოხტას ციხეზე გაიმარტა ცოტნე დადიანის ხსენების დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები.
15 სექტემბერი- მოზარდ თაობაში წიგნის პოპულარიზაციის მიზნით საჩუქრად გადეცემათ წიგნები სასწავლო წლის დასაწყისში მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების პირველკლასელებს
24 სექტემბერი - ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ რუსთავში ტრადიციული ,,პოეზიის სახალხო დღესასწაული - ,,შოთაობა-2022'' გაიმართა.
სამსახურმა აპრილიდან-ოქტომბრის თვის მონაკვეთში ძეგლების სეზონური მონიტორინგის ფარგლებში შეძლებისდაგვარად მოახდინა: დაბა ასპინძის, სოფლების რუსთავის, ოთის, თოკის, ძველის, ჭობარეთის, აწყვიტა-ერკოტის, საყუდაბელის, სარო-ფიის, თმოგვის, ნაქალაქევის, მირაშხანის მიდამოებში არსებული კულტურული მემკვიდრეობის არქიტექტურული და არქეოლოგიური ძეგლების მდგომარეობის ინსპექტირება.
მუნიციპალიტეტი თანამშრომლობდა ტერიტორიაზე მოვლინებულ ექსპედიციებთან, რომლებიც მიმდინარე წელს ანხორციელებდნენ არქეოლოგიურ, სარესტავრაციო და სარეაბილიტაციო სამუშაოებს.
მიმდინარე წელს სამსახური აქტიურად თანამშრომლობდა ტურიზმის ადგილის მართვის ახლადშექმნილ ოგანიზაციასთან (DMO) , მათთან თანამშრომლობის ფარგლებში მოხდა ტურისტული განთავსებისა და კვების ობიექტების ხელახალი აღრიცხვა და საინფორმაციო ბაზის განახლება, ვითანამშრომლეთ ტურიზმის ეროვნულ სააგენტოსთან და სევუერთდით აქციას სახელწოდებით #აღმოაჩიეისრაცშენია.
წარმატებით შედგა ურთიერთობა ტურიზმის მიმართულებით არასამთავრობო ორგანიზაცია ვორლდ ვიჟენ საქართველოთან (World Vision), რომელიც მუშაობს რეგიონისათვის ტურისტული საინფორმაციო აპლიკაციის შექმნაზე, რაც მეტად ცნობადს გახდის სამცხე-ჯავახეთის რეგიონს და მათ შორის ჩვენს მუნიციპალიტეტს, აღნიშნული კი პოზიტიურად აისახება ტურიზმის და მასთან ბმაში მყოფი საქმიანობების განვითარებაზე.